



საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლ-ტექნიკოსი - 040668

Builder-Technician of motorways and airdromes

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლ-ტექნიკოსი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეხუთე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლ-ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ), სულ 1500 საათი.

აქედან:

36 კრედიტი (900 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 360; დამოუკიდებელი -444, შუალედური/დასკვნითი შეფასება -96)

24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 600)

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მეხუთე საფეხურზე დაიშვებიან პირები ,რომელთაც აქვთ ამავე სპეციალობის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის დიპლომი.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს მეხუთე საფეხურის საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლ-ტექნიკოსი, რომელიც შეძლებს საავტომობილო გზებისა და აეროდრომების კვლევა-ძიებასთან, დაპროექტებასთან, მშენებლობასთან, საინჟინრო აღჭურვასთან, ექსპლუატაციასთან, ქალაქების სატრანსპორტო დაგეგმარებასთან, მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრას კომპეტენციის ფარგლებში და მოტივირებული იქნება თავის საქმიანობაში პროფესიული თვალსაზრისით წინსვლაზე.

VII. სწავლის შედეგი:

მისალწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცის: საგზაო მშენებლობაში გამოყენებული სამშენებლო მანქანების დანიშნულება, მათი გამოყენების არეალი;</p> <p>საავტომობილო გზებისა და აეროდრომების საველე-საკვლევაძიებო, საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, მათი შესრულების, მიღებული შედეგების დამუშავებისა და შემდგომი გამოყენების მეთოდები ;</p> <p>საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტების პრინციპები და ნორმატიული მოთხოვნები, საავტომობილო გზის ძირითადი ელემენტების უთიერთშეხმებით დაპროექტება;</p> <p>ხიდებისა და სატრანსპორტი ნაგებობების დანიშნულება, ტიპები, დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ძირითადი პრინციპები;</p> <p>საგზაო და აეროდრომის მშენებლობის ტექნოლოგიური მეთოდები, მათ განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რსურსები და მანქანა მექანიზმები;</p> <p>საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მოვლა შენახვის სამუშაოები და მათ განსახორციელებლად საჭირო მანქანა მექანიზმები, საავტომობილო გზებისა და აეროდრომების საქსპლუატაციო თვისებების</p>
-------------------------------------	---

	<p>შეფასების მეთოდები;</p> <p>ქალაქების სატრანსპორტო დაგეგმარების ძირითადი პრინციპები;</p> <p>საგზაო პირობების ზეგავლენა მოძრაობის უსაფრთხოებაზე;</p> <p><i>აცნობიერებას:</i> აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს;</p> <p>საველე-საკვლევადიებო, საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების მნიშვნელობას საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტებისათვის;</p> <p>საავტომობილო გზებისა და სეროდრომების დაპროექტების, მშენებლობისა ექსპლუატაციის სწორად წარმართვის მნიშვნელობა გზებისა და აეროდრომების სატრანსპორტო-საექსპლუატაციო თვისებებზე და მათ სიცოცხლისუნარიანობაზე;</p>
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p><i>შეუძლია:</i> შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით და გარკვეული დამოუკიდებლობით გააზრებული მონაწილეობა საკვლევადიებო სამუშაოებში, მოძიებული მასალების დამუშავება და შემდგომი გამოყენება;</p> <p>საავტომობილო გზისა და აეროდრომის ელემენტების ურთიერთშეთანხმებით დაპროექტება, მშენებლობისათვის დაჭირო სამშენებლო მოცულობების ანგარიში;</p> <p>ქალაქების სატრანსპორტო დაგეგმარების ძირითადი პრინციპების გამოყენება და საგზაო პირობების გათვალისწინებით მოძრაობის უსაფრთხოების შეფასება;</p> <p>საავტომობილო გზებისა და აეროდრომების სატრანსპორტო-საექსპლუატაციო თვისებების გამოკვევაში გააზრებული მონაწილეობა.</p>
დასკვნის გაკეთების უნარი	<p><i>შეუძლია:</i> პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების ამოცნობა, შეფასება, ანალიზი. მათ გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, ახალი წყაროების მოძიება;</p> <p>საავტომობილო გზებისა და აეროდრომების საექსპლუატაციო მაჩვენებლების შეფასება.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p><i>აქვს უნარი:</i> აწარმოოს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, მშობლიურ და უცხო ენაზე</p> <p>შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, ინფორმაციას გრაფიკული და ცხრილური სახით წარმოადგენა სათანადო პრეზენტაციებში;</p>
სწავლის უნარი	<p><i>აქვს უნარი:</i> დამოუკიდებლად დაგეგმოს საკუთარი შემდგომი პროფესიული სრულყოფა და ადექვატურად შეაფასოს სათანადო სასწავლო კურსების და პროგრამების შესაძლებლობები.</p>
ღირებულებები	<p><i>აქვს</i> პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებები. აცნობიერებს საკუთარ და მისდამი დაქვემდებარებულ პირთა პასუხისმგებლობას საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეფექტიან დაგმვასა და შესრულებაზე.</p>

VIII. სწავლის შედეგების რუკა

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინგლისური ენა II	x	x		x		
ინფორმატიკა II	X	x		x		
საგზაო სამშენებლო მანქანები	x	x				
საავტომობილო გზებისა და აეროდრომების კვლევა ძიება	x	x	x			
ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები (ზოგადი კურსი) I						
ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები II	x	x				x
საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტება I	x	x				
საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა	x	x	X		x	x
საავტომობილო გზებისა და აეროდრომების ექსპლუატაცია	x	x	x			
ქალქების სატრანსპორტო დაგეგმარების საფუძვლები	x	x	x			x
საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტება II	X	X				
საგზაო პირობები და მოძრაობის უსაფრთხოება	x	X				x

IX. სასწავლო გეგმა

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
პირველი სემესტრი								
ინგლისური ენა II	5	/60				8	57	125
ინფორმატიკა II	5	/60				8	57	125
საგზაო სამშენებლო მანქანები	5	30/			60	8	27	125
საავტომობილო გზებისა და აეროდრომების კვლევა ძიება	5	15		45	30	8	27	125
ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები (ზოგადი კურსი) 1	5	15		35	30	8	37	125
საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტება 1	5	30/		30	15	8	42	125
სულ პირველი სემესტრი	30	210	0	110	135	48	247	750
მეორე სემესტრი								
საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტება 2	5	15		45	15	8	42	125
ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები (ზოგადი კურსი) 2	5	15		35	30	8	37	125
საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა	5	30/			50	8	37	125
საავტომობილო გზებისა და აეროდრომების ექსპლუატაცია	5	30			60	8	27	125
ქალაქების სატრანსპორტო დაგეგმარების საფუძვლები	5	30/		30	30	8	27	125
საგზაო პირობები და მოძრაობის უსაფრთხოება	5	30/		30	30	8	27	125
სულ მეორე სემესტრი	30	150	0	140	215	48	197	750
სულ	60	360	0	250	350	96	444	1500

შენიშვნა:

სასწავლო სემესტრი 20 კვირიანია:

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის.

მე-18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის;

მე-19 კვირა გამოცდისათვის, მე-20 კვირა განმეორებითი გამოცდისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით).

თითოეულ საგანში შეფასებებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.

1. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და არა აქვთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

გამოცდა - 2 სთ. თეორია;

2. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და მხოლოდ სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

3. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

4. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა;

გამოცდა - 2 სთ. (სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო პრაქტიკას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი;
- ზეპირი გამოკითხვა;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი
- **XII. სწავლების ფორმები:**
- თეორიული სწავლება;
- პრაქტიკული მეცადინეობა;
- ლაბორატორიული სამუშაო;
- სასწავლო პრაქტიკა;
- საწარმოო პრაქტიკა.

სწავლის მეთოდები:

ინტერაქტიული სწავლება; ჯგუფური მუშაობა; სწავლების დედუქციური მეთოდი; ახსნაგანმარტებითი მეთოდი; წერიითი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი.

XIII. ინფორმაცია პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ადამიანური რესურსი:

საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ინგლისური ენა II	ანა ჩხეიძე	მასწავლებელი
ინფორმატიკა II	ლაურა შავერდაშვილი	მასწავლებელი
საგზაო სამშენებლო მანქანები	ბესიკ ყაჭიური	მეცნიერებათა დოქტორი
	მანუჩარ შიშინაშვილი	მეცნიერებათა დოქტორი
საავტომობილო გზებისა და აეროდრომების კვლევა ძიება	მალხაზ ბეჟანიშვილი	დოქტორანტი
	ნანა ელოშვილი	უფროსი მასწავლებელი
ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები (ზოგადი კურსი)	გივი დათუკიშვილი	ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
	მარინა გრძელიშვილი	ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტება	ბესიკ ყაჭიური	მეცნიერებათა დოქტორი
	ნანა ელოშვილი	უფროსი მასწავლებელი
საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა	მანუჩარ შიშინაშვილი	მეცნიერებათა დოქტორი
	ბესიკ ყაჭიური	მეცნიერებათა დოქტორი
საავტომობილო გზებისა და აეროდრომების ექსპლუატაცია	მალხაზ ბეჟანიშვილი	დოქტორანტი
	ნანა ელოშვილი	უფროსი მასწავლებელი
ქალაქების სატრანსპორტო დაგეგმარების საფუძვლები	მანუჩარ შიშინაშვილი	მეცნიერებათა დოქტორი
	თამარ მაღრაძე	დოქტორანტი
საგზაო პირობები და მოძრაობის უსაფრთხოება	მანუჩარ შიშინაშვილი	მეცნიერებათა დოქტორი
	ბესიკ ყაჭიური	მეცნიერებათა დოქტორი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლ-ტექნიკოსის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

ლაბორატორიები, VII კორპუსი.

მშენებელ-ტექნიკოსისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალა (პრეზენტაციები და ვიდეოფილმები).

XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება:

შპს."პროექტირება,მშენებლობა, ექსპერტიზა" -ხელშეკრულება №228-2012-2 13.06.2012 წ.

შპს."მაგისტრალი"- ხელშეკრულება №226-2012-2 13.06.2012 წ.

იხ. დანართი

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

დავით ბურდილაძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი

მარინა ჯავახიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ზურაბ გედენიძე

მიღებულია

სამშენებლო

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
24 აპრილი 2012 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ზურაბ გედენიძე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურთან